



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№19 (10.124)
8-15 ივნისი 2024 წელი
ფასი: 60 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

მუნიციპალური ტრანსპორტი ამოქმედდა

დედოფლისწყაროში მუნიციპალური ტრანსპორტი ამოქმედდა. 3 ივნისს სოფელ სამრეკლოდან გამოსულმა ავტობუსმა მგზავრთა პირველი ნაკადი გადაიყვანა.

ნადეჟდა მაქლარაშვილი ერთ-ერთია იმ მგზავრთაგან, რომელმაც მუნიციპალური ტრანსპორტით ისარგებლა. 85 წლის ნადეჟდა სამრეკლოს მკვიდრია და როდესაც რაიონულ ცენტრში ამოსვლა სჭირდება, ტაქსის გამოძახება უწევს. როგორც ის აღნიშნავს, ტაქსით სარგებლობა ძვირი სიამოვნებაა. მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილება მისთვის დიდი შვება იქნება. „სამრეკლოში ბევრი პენსიონერი ცხოვრობს. როდესაც რაიონში წამოსვლა გვჭირდება, ტაქსს ვიძახებთ. მისი ღირებულება მხოლოდ ერთ გზაზე 5 ლარია. პენსიონერისთვის ეს ფასი საკმაოდ მაღალია. ამიტომაც, მაქსიმალურად თავს ვიკავებთ ქალაქ დედოფლისწყაროში ამოსვლისგან. ამერიიდან თამამად ვიმგზავრებ, რადგან ავტობუსი ივლის და მისი ღირებულება მხოლოდ 1 ლარია, თუმცა, პენსიონერებისთვის შეღავათიანი პირობები ყოფილა გათვალისწინებული და სულ რაღაც 50 თეთრის გადახდა მომინდვს. მე „თიბისი ბანკში“ უკვე ვიყავი და სპეციალური სამგზავრო ბარათიც ავიღე. დიდი მადლობა ამ საჭირო სიახლისთვის ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას“ – განაცხადა ნადეჟდა მაქლარაშვილმა.

მადლიერების პარალელურად მან ისიც აღნიშნა, რომ გაჩერებაზე დად-



მართველობის წარმომადგენლებთან ერთად იმგზავრა.

მუნიციპალური ტრანსპორტი მუშაობას 8.30 წუთზე დაიწყებს და სამრეკლოს ცენტრიდან ყოველ საათნახევარში ერთხელ გამოვა და რეარეისს შეასრულებს. ტრანსპორტის სამუშაო საათები 20:00 საათზე დასრულდება.

№141 მარშრუტი მგზავრთა გადაყვანას ერთი თვის განმავლობაში უფასოდ განხორციელებს.

მოსახლეობამ სამგზავრო ბარათების შესაძენად „თი ბი სი“ ბანკის დედოფლისწყაროს ფილიალს უნდა მიმართოს. გაზეთი „შირაკი“ ბანკის წარმომადგენელს დაუკავშირდა.



გომა და ავტობუსში ამოსვლა გაუჭირდა, რადგან ე.წ. „ბასლაინი“ კერძო მანქანებს შტონდათ დაკავებული. მის ჯანსაღ კრიტიკულ შენიშვნას უპასუხა მუნიციპალიტეტის მერმა, რომელმაც დაამშვიდა მგზავრი, რომ ამ პრობლემას საპატრულო პოლიცია მიხედავს და მონაწილეს დაეხმარება.

სამრეკლო-დედოფლისწყარო-ხორნაბუჯის მარშრუტზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარესთან, ნუგზარ პაპიაშვილთან და თვითმ-

გიორგი პოპიაშვილი („თიბისი ბანკის“ დედოფლისწყაროს ფილიალის ხელმძღვანელი): „სამგზავრო ბარათის მისაღებად აუცილებელია მოქალაქეებმა მიაკითხონ „თიბისი ბანკის“ დედოფლისწყაროს ფილიალს, სადაც მომენტალურად, რამდენიმე წუთში ხდება ბარათის გაცემა. მისი ღირებულებაა 2 ლარი. შემდეგ უკვე სამგზავრო ბალანსის შევსება ხდება გადახდის აპარატებიდან. ჩვენ ერთნაირი კატეგორიის ბარათებს გაცემთ, საშუალოდ პირობების ჩასართავად მოქალაქემ მერიას უნდა მიმართოს, სადაც წინასწარ განსაზღვრულ რომელიმე სტატუსს მიანიჭებენ.“

ინგა შიოლაშვილი

კიკბოქსინგის დარბაზის სამშენებლო სამუშაოები გრძელდება

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილესთან, გელა სამუკაშვილთან და მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად ქალაქ დედოფლისწყაროში კიკ ბოქსინგის დარბაზის სამშენებლო სამუშაოებს გაეცნო.

სამუშაოები მიმდინარე წლის იანვარში დაიწყო და წლის ბოლოს დასრულდება. ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება და მისი ჯამური ღირებულება 1 375 041 ლარს შეადგენს.



მეხანძრე-მაშველებს სწავლება ჩაუტარეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სახანძრო-სამაშველო დეპარტამენტის კახეთის მთავარ სამმართველოს გერმანიის ქალაქ ბიბერახის კულტურის სამსახურის უფროსი და სახანძრო-სამაშველო ძალების ორი ინსტრუქტორი ეწვია. ვიზიტის ფარგლებში, გერმანელმა ინსტრუქტორებმა 3 დღის განმავლობაში შემთხვევის ადგილზე უსაფრთხოების დაცვის წესებისა და პიდრავლიკური ხელსაწყოებით ტექნიკური დახმარების სწავლება თელავის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, ახმეტის და საგარეჯოს რაიონული განყოფილების მეხანძრე-მაშველებს ჩაუტარეს. ვიზიტის ფარგლებში გერმანელმა სტუმრებმა საგანგებო სიტუაციების კახეთის მთავარი სამმართველოს ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და სახანძრო-სამაშველო სამსახურის საქმიანობის შესახებ დეტალებს ადგილზე გაეცნენ.



„რა, სად, როდის“ გამარჯვებული გამოვლინდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებს შორის ინტელექტუალური თამაშის - „რა, სად, როდის“ საგაზაფხულო სერიის ფინალი გაიმართა. ტურნირი ტრადიციულია და დედოფლისწყაროელი ახალგაზრდის, ნინო კიკელაშვილის ხსოვნას ეძღვნება. პირველი ადგილის მოსაპოვებლად ერთმანეთს ქ. დედოფლისწყაროს N1 და N2 საჯარო სკოლები დაუპირისპირდნენ. შედეგები ასე გადანაწილდა: I ადგილი- ქ. დედოფლისწყაროს N 2 საჯარო სკოლა II ადგილი- ქ. დედოფლისწყაროს N 1 საჯარო სკოლა III ადგილი- სოფელ ზემო მაჩხანის საჯარო სკოლა. გამარჯვებულებს დიპლომები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ. პირველ ადგილზე გასული გუნდის წევრებს საჩუქრები გადასცა ნინო კიკელაშვილის ოჯახმაც.



ხორბლის გლობალური მარაგები, საგარაუდოდ, 9-წლიან მინიმუმამდე დაეცემა

alt & Taggart-მა ნედლეულის ბაზრის ყოველთვიური მიმოხილვა გამოქვეყნა, რომლის მიხედვით, 2024 წლის მაისში ხორბლის ფასი თვიურად 15.8%-ით გაიზარდა. საინვესტიციო ბანკში აღნიშნავენ, რომ 2022 წლის თებერვლის შემდეგ (რუსეთ-უკრაინის ომის დასაწყისი), ეს უმსხვილესი თვიური ზრდა იყო. ამასთან, მიმოხილვის ავტორები მსოფლიო ბაზარზე ხორბლის უმსხვილეს მიმწოდებელ ქვეყნებში მოსავლის კლებაზე და გლობალური მარაგების შემცირებაზე საუბრობენ. „რუსეთშიც და უკრაინაშიც, რომლებიც მარცვლეულის მნიშვნელოვანი მიმწოდებლები არიან, ცუდი ამინდების გამო, მოსავლის კლება მოსალოდნელია. რუსეთის შემთხვევაში მოლოდინები უკვე 10%-ზე მეტით შემცირდა, უკრაინაში კი დეკადის ყველაზე ცოტა მოსავალს ელიან. ხორბლის გლობალური მარაგები, საგარაუდოდ, 9-წლიან მინიმუმამდე დაეცემა, რაც სხვა მსხვილ მწარმოებლებშიც (ავსტრალია და ინდოეთი) პრობლემური სეზონებით იქნება გამოწვეული“, - ნათქვამია მიმოხილვაში. ცნობისთვის, საქართველოსთვის ხორბლის მთავარი საქსპორტო ბაზარი რუსეთია. ხორბლის იმპორტის ღირებულება წლიურად 32.4%-ითაა გაზრდილი 4 თვეში, ხოლო მოცულობა 72.4%-ით, რაც შემცირებული საშუალო იმპორტის ფასითაა გამოწვეული (-23.2% წ/წ).

Galt & Taggart-ის სოფლის მეურნეობის მიმოხილვის მიხედვით, გასულ წელს საქართველომ 370.5 მლნ კგ მარცვლეული აწარმოა. ამასთან ამავე პერიოდში ქვეყანაში 96.9 მლნ დოლარის ღირებულების 658 მლნ კგ მარცვლეულის იმპორტი მოხდა, ექსპორტზე კი მხოლოდ 2.5 მლნ დოლარის 9.7 მლნ კგ საქონელი გავიდა. კვლევის მიხედვით, მარცვლეულით თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი ქვეყანაში 36.4%-ია. Galt & Taggart-ის მიმოხილვაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველო მარცვლოვნების იმპორტიორია, რაც ძირითადად რუსეთიდან შემოდის. „2022 წელს მარცვლოვნების მოხმარებამ 1 მლრდ კგ შეადგინა, საიდანაც 370.5 მლნ კგ ადგილობრივი წარმოება, ხოლო დანარჩენი იმპორტი იყო, ჯამურად 96.9 მლნ აშშ დოლარის ღირებულებით. ხორბალი ძირითადად ფქვილის მისაღებად გამოიყენება და მისი თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი 2022 წელს 22%-ს შეადგენდა. შედარებით მაღალია თვითუზრუნველყოფის მაჩვენებელი სიმინდის შემთხვევაში და ის 62%-ს შეადგენს“, - აღნიშნავენ კვლევის ავტორები. 2022 წელს \$96.9 მილიონის ღირებულების იმპორტში, მარცვლეული კულტურების ჩამონათვალი პირველ ადგილს 67%-ით ხორბალი და მესამე იკავებს. მეორე ადგილზე 13%-ით სიმინდია, მესამეზე 9.9%-ით წინააღმდეგობა, მეოთხეზე 9.3%-ით ბრინჯი.

ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიისთვის ბრძოლა გრძელდება

ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პრემიისთვის საბრძოლველად ნახევარფინალში სულ 18 სკოლის ეკოკლუბი გადავიდა, რომელთაგან წელსაც წამყვან ადგილებზე დედოფლისწყაროს 4 სკოლაა. კახეთის სხვა რაიონების სკოლების მოსწავლეებთან ერთად ფინალში მოსახვედრად იბრძოლებენ შემდეგ სკოლებში მოქმედი ეკოკლუბები: დედოფლისწყაროს №2 საჯარო

- სკოლა-2003 ნერგი;
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ქედის საჯარო სკოლა-1065 ნერგი;
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ არბოშის საჯარო სკოლა-965 ნერგი;
- დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლა-580 ნერგი;

გაერომ დაადასტურა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა შინ დაბრუნების უფლება

გაეროს გენერალურმა ასამბლეამ კვლავ დაადასტურა საქართველოს ოკუპირებული რეგიონებიდან დევნილების საკუთარ სახლებში დაბრუნების უფლება. 4 ივნისს გენერალურმა ასამბლეამ ნიუ-იორკში, 78-ე სესიის ფარგლებში, მიიღო საქართველოსა და მსოფლიოს კიდევ 63 ქვეყნის მიერ ინიცირებული რეზოლუცია „აფხაზეთიდან, საქართველო და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთი ოსეთი საქართველო, იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ“. ამ რეზოლუციას საქართველო 2008 წლიდან წარადგენს. წელს დოკუმენტს მხარი დაუჭირა 103-მა ქვეყანამ, რაც 2008 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. შარშან მხარდამჭერთა რიცხვი 100 იყო. წელს პირველად რეზოლუციას მხარი დაუჭირა სომხეთმა, რომელიც მანამდე თავს იკავებდა, ან ხმას წინააღმდეგ აძლევდა. რეზოლუციას წელს პირველად შეუერთდნენ სამხრეთ აფრიკა და არგენტინაც. რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა 9 ქვეყანამ: რუსეთმა, ბელარუსმა, ბურუნდომ, ზიმბაბვემ, ჩრდილოეთმა კორეამ, კუბამ, მალიმ, ნიკარაგუამ და სირიამ. 53-მა თავი შეიკავა.

რეზოლუცია გამოხატავს რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებში ძალისმიერი გზით განხორციელებულ დემოგრაფიულ ცვლილებებს, ადასტურებს დევნილთა უფლებას, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, საკუთარ სახლებში დაბრუნდნენ ღირსეულად, უსაფრთხოდ და ხაზს უსვამს მათი საკუთრების უფლების პატივისცემისა და დაცვის აუცილებლობას. რეზოლუცია მოუწოდებს ყენევის საერთაშორისო დისკუსიების მონაწილეებს, გაააქტიურონ ძალისხმევა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების კუთხით არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა დაბრუნების პროცესს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ჰუმანიტარული კონტექსტის გარდა, რეზოლუციას აქვს პრაქტიკული დატვირთვა, რადგან გაეროს გენერალურ მდივანს ავალებს დევნილი მოსახლეობის მდგომარეობის და რეზოლუციის შესრულების თაობაზე ყოველწლიური ანგარიშის მომზადებას.

გაზის (აირის) იარაღის შექმნა-რეგისტრაციისთვის შსს-ს თანხმობა იქნება საჭირო

გაზის (აირის) იარაღის, შექმნის/რეგისტრაციის წესში ცვლილებები შევიდა. ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს. მათივე ცნობით, გაზის (აირის) იარაღის შექმნა/რეგისტრაციისთვის შსს-ს თანხმობა იქნება საჭირო. „სარეგისტრაციო ან საკუთრებაში არსებული იარაღისა და საბრძოლო მასალის ტარების, შენახვის, გადატანა-გადაზიდვის, გადაგზავნისა და რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბრძანებაში შესული ცვლილებების თანახმად, თუ პირს სურს გაზის (აირის) იარაღის შექმნა/რეგისტრაცია, საჭიროა მომსახურების სააგენტოში, იარაღის შენახვის/რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოდან თანხმობა წარადგინოს. დაინტერესებული პირის წერილობითი განცხადებისა და შესაბამისი გარემოებების შესწავლის საფუძველზე, თანხმობის ან თანხმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ წერილობით გადამწყვეტილებას, იარაღის შენახვის/რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანო იღებს. გადამწყვეტილება განმცხადებელს ეცნობება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში დაბარებული პირის არგამოცხადება/მისვლაზე უარი ან/და პირის საცხოვრებელ ადგილზე/იარაღის შენახვის ადგილზე მისული უფლებამოსილი პირის არდაშვება თანხმობის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს.

ბრიუსელში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია გაიმართა

ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში, ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია - Georgian Natural Wine Day (ქართული ბუნებრივი ღვინის დღე) გაიმართა, რომელზეც სხვადასხვა სახეობის 10 ქართული ღვინო იყო წარდგენილი. დეგუსტაციას 1000-მდე სტუმარი, მათ შორის, ჟურნალისტები, ბლოგერები, კომერციული სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ. ღვინისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „FLOW SRL“ ორგანიზებით გაიმართა. ქართული ღვინის მსგავსი მასშტაბური წარდგენა ბრიუსელში მიმდინარე

წლის ივნისის ბოლოსაც გაიმართება, რაც ხელს შეუწყობს ცნობადობის ამაღლებას და საქსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციას. ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის პოპულარიზაცია წარმოადგენს. სააგენტო ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის ფარგლებში, 2013 წლიდან, ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, მიზანმიმართულ სარეკლამო-მარკეტინგულ კამპანიებს აშშ-ში, ევროპისა და აზიის ქვეყნებში ახორციელებს.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღინიშნა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მუნიციპალური ბიბლიოთეკაში გამართული ღონისძიებით დაიწყო, სადაც სტუმრად იმყოფებოდნენ ქ.დედოფლისწყაროს N3 საბავშვო ბაღის აღსაზრდელები. ბიბლიოთეკის შესასვლელში ბავშვებმა ცარციტი მოხატეს ასფალტი, შემდეგ გადაინაცვლეს ლამაზად გაფორმებულ სამკითხველო დარბაზში.

ბიბლიოთეკის დირექტორმა მანანა მაჭარაშვილმა მიულოცა ბავშვებს ბავშვთა დაცვის დღე და მშვიდობიან საქართველოში ცხოვრება უსურვა.

ბავშვებმა იმღერეს, ლექსები თქვეს და გაილაშხეს დღე.

ღონისძიებას ესწრებოდნენ და ბავშვთა დაცვის დღე მიულოცეს პატარებს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გელა სამუკაშვილმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელმა მაკა ჯანაშვილმა და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა დოდო ხუნაშვილმა თანამშრომლებთან ერთად.

ბავშვთა დაცვის მსოფლიო დღისადმი მიძღვნილმა ღონისძიებამ, მუნიცი-

პალური ბიბლიოთეკიდან, კულტურის სახლის ეზოში გადაინაცვლა და მხიარული სტარტებით გაგრძელდა. აქტივობაში მონაწილეობდნენ ქ.დედოფლისწყაროს N1, N2, სოფ.ხორნაბუჯის საჯარო სკოლები და მეფე ვახტანგ გორგასლის სახ. სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები. კულტურის სახლის მიმდებარე სკვერში დასერილობდნენ ანიმაციური გმირები „ნინო და მეგობრები“, ხელოვნების სკოლის სამხატვრო განყოფილების მოსწავლეები ხატავდნენ, სასიამოვნო ატმოსფერო სუფევდა ირგვლივ, უამრავმა ბავშვმა მოიყარა თავი მოედანზე, ულაშახესად გაფორმებული სცენა და კულტურული ღონისძიება ელოდა ჩვენს პატარებს, სადაც მონაწილეობა უნდა მიეღო საბავშვო ბაღებისა და ბავშვთა ხელოვნების სტუდია „ცეროდენას“ აღსაზრდელებს, ქორეოგრაფიულ ანსამბლს, მაგრამ, სამწუხაროდ, ამინდის გაუარესების გამო, კულტურული ღონისძიება ვეღარ ჩატარდა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა მუნიციპალიტეტის სოფლების - ზემო მაჩხანის, ზემო ქედის, არბოშის, სამრეკლოს, მირზანის, ოზანისა და გამარჯვების ბიბლიოთეკებშიც.



არბოშის



ოზანი



ზემო მაჩხანი



სამრეკლო



არხილოსკალი



ქ.დედოფლისწყარო



ქვემო ქედი

კოლოს საწინააღმდეგო ზამთრის მიმდინარეობს

ერთიანი გადაუღებელი წვიმების შედეგად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მთელ ტერიტორიაზე კოლო მომრავლდა. ადგილობრივები მწერმა ყველა სოფელში შეაწუხა, კოლოს სიმრავლე თვალშისაცემია ქალაქ დედოფლისწყაროშიც.

დედოფლისწყაროში ამბობენ, რომ ამდენი კოლო გასულ წლებში არ ყოფილა. ეს პრობლემა ყოველწლიურად ძირითადად საზღვრისპირა სოფლებს აწუხებს. კოლოს სიმრავლე ძირითადად აღსანიშნავია სოფლებში, სამთაწყაროსა და ფიროსმანში ფიქსირდება ხოლმე. ამჯერად კი ხანგრძლივი წვიმების გამო მდინარე „ალაზანი“ ადიდდა, ირგვლივ ბევრი ტერიტორია დატბორა, ჭობები კი კოლოს გამრავლებას ხელს უწყობს.

გასულ კვირას სურსათის ეროვნული სააგენტოს 15-მდე სპეციალური ავტომანქანა დედოფლისწყაროში ჩამოვიდა და ღონისძიებების გატარებას შეუდგა. 5 ივნისს სამთაწყაროსა და ფიროსმანში განხორციელდა წამლობა, 6 ივნისს ზედა სოფლებში, არხილოსკალსა და ზემო ქედში. 6-7 ივნისს წამლობა განხორციელდა ქალაქ დედოფლისწყაროშიც.

„ეს ფოტო სოფელ ფიროსმანშია გადაღებული, წარმოუდგენელი სიტუაცია იყო. აზერბაიჯანის მხარემ ისტორიულ ჰერეთში მათი ტერიტორია დიდი ხნით ადრე შენამლა და მას მერე კოლო აქეთ უფრო მეტად მომრავლდა. როგორც ჩანს, მწერმა აქეთ გადმოინაცვლა. ფანჯრებს ვერ გახსნიდი ისეთი ვითარება იყო. კადრშიც ჩანს, ფანჯრების ბადეზე უამრავი კოლო იჯდა ხოლმე, გარეთ გასვლა შეუძლებელი იყო. მას შემდეგ, რაც ღამით აქაც შეინამლა, მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესდა. ამდენი მწერი აღარ

არის,“ - აცხადებენ სოფელ ფიროსმანში.

ზემო ქედისა და არხილოსკალის მოსახლეობაც წუხდა, რომ ქვემოთ შენამვლის შემდეგ მწერმა ზემოთ, მათი სოფლებისკენ გადმოინაცვლა და ისედაც გაუსაძლისი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა.

„ასე მომრავლებული კოლო ზემო ქედში არასოდეს გვინახავს, სხვა წლებშიც იყო ხოლმე, მაგრამ ასეთი მდგომარეობა პირველად ვნახეთ. ეზოში ვეღარ გავდიოდით, ძროხები მოსანველი გვრჩებოდა, შეუძლებელი იყო გარეთ გავჩერება. თავს ვერაფრით ვიცავდით, არცერთი საშუალება არ ჭრიდა. ასაკოვან ქალებს ჯანმრთელობის პრობლემაც შეექმნათ. ახლა არდადეგები იწყება, ბავშვები ჩამოვლენ სოფელში

და იმედია მეტი ყურადღება მიექცევა ამ საკითხს, რომ აქ გაჩერება შეუძლებელი იყოს და ბევრი მოზარდი დაბრუნდეს სოფლებში,“ - აღნიშნეს ზემო ქედელებმა.

როგორც „მირაქმა“ გაარკვია, პრობლემის აღმოფხვრაზე სპეციალურ ზომებს ატარებს როგორც ადგილობრივი, ისე სამინისტროს დაქვემდებარებული შესაბამისი სამსახურები. დედოფლისწყაროს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი მაისისა და ივნისის თვეში კოლოს საწინააღმდეგო წამლობას თითქმის ყოველწლიურად ახორციელებს. ცენტრის დირექტორი მარიკატი გონაშვილი ამბობს, რომ ახლაც, შესაბამისი პაკეტი, საზღვრისპირა სოფლებში გასაგზავნად მზადაა. ხსნარით ადგილობრივები სა-

კუთარ კარ-მიდამოს შენამლიან. პროცესი ყოველწლიურად მიმდინარეობს და ადგილობრივები ამ უნარ-ჩვევებს უკვე ფლობენ. მარიკატი გონაშვილის განმარტებით, დანარჩენ ზონებში მწერის საწინააღმდეგო ღონისძიებებს სურსათის სააგენტო ახორციელებს.

წამლობის შემდეგ მოსახლეობის აზრი ორად გაიყო. სხვადასხვა სოფლებში მცხოვრებთა ნაწილი ღიად ამბობდა, რომ სამუშაოები არასაკმარისი იყო და მწერთან საბრძოლველად ეფექტური არ აღმოჩნდა. მოქალაქეთა ნაწილი კი, მათთან დისკუსიაში ღიად შედის და ირწმუნება, რომ სურსათის სააგენტოს ჯგუფების მუშაობისა და ტერიტორიების თერმული ნისლით დამუშავების შემდეგ მდგომარეობა გაუმჯობესდა და მწერების რაოდენობა შემცირდა. მათივე მტკიცებით, სოფლებში, სადაც, გარეთ გასვლა შეუძლებელი იყო, ახლა შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. ნაწილი იმაზეც წუხდა, რომ სააგენტომ შენამვლამდე მოქალაქეები არ გააფრთხილა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ წინა დღეს ცალკეული სოფლების მიხედვით ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ტელეფონზე მიიღეს მოკლე ტექსტური შეტყობინება, სადაც მიუთითებდნენ, რომელ საათზე განხორციელდებოდა წამლობა. გარკვეულ ლოკაციებზე კი ეს ინფორმაცია თავად ავტომანქანებიდან გამოაცხადეს და მოქალაქეებს სიფრთხილისა და ფანჯრების დახურვისკენ მოუწოდეს.

სურსათის ეროვნულ სააგენტოში ამბობენ, რომ მავნებელ მწერებთან საბრძოლველად სურსათის სააგენტოს შესაბამისი სამსახურები სპეციალური ღონისძიებების გატარებას კვლავაც გააგრძელებენ.

ილია მარტყოფლიშვილი



„სალამო არის ჩემი წიგნი“ - შეხვედრა რილკეს შემოქმედებასთან

4 ივნისს, თბილისში, გოეთეს ინსტიტუტში ავსტრიელი პოეტის რაინერ მარია რილკეს ლექსების თარგმანის „სალამო არის ჩემი წიგნი“ პრეზენტაცია გაიმართა. კრებულის ავტორია ჩვენი თანამემამულე, პოეტი და მთარგმნელი ირმა შიოლაშვილი. წიგნი თავად ავტორმა წარადგინა. „ვთარგმნე ჩემი საყვარელი ლექსები, ის ლექსები, რომლებიც გერმანულ ენობრივ სივრცეში არის გავრცელებული. რილკეს რომ შეეჭიდო, უნდა ფლობდე არა მხოლოდ მშობლიურ სიტყვას და გერმანულ ენას, არამედ უნდა შეგეძლოს რილკეს პოეტური სახეების გადმოტანა ქართულ ენაზე, რელიგიურ სიღრმეებში წვდომა... მე ჩემს ენაზე დავწერე რილკე და მიხარია, რომ თარგმანს ასეთი რეზონანსი მოჰყვა“.

გიორგი ლომუაშვილი, პოეტი, მთარგმნელი: „რილკეს თარგმანს ქართულ ლიტერატურულ სივრცეში დიდი ტრადიცია აქვს. ამ ტრადიციის ფონზე ყოველთვის საფრთხილოა ასეთ პოეტებთან ხელახლა მიბრუნება, მათი ლექსების ახალი ვერსიის გაკეთება. საფრთხილოა იმდენად, რამდენადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ტრადიცია და სიახლეც იყოს ამ თარგმანში. სწორედ ასეთი თარგმანია ირმა შიოლაშვილის მიერ თარგმნილი 50 ლექსი“.

მაია ალუდაური, გამომცემლობა „პალიტრა L“: „ყველა წიგნს თავისი ბედი დაჰყვება ხოლმე. არის წიგნები, რომლებიც გამოცემისას აქტუალურია, თუმცა, გარკვეული დროის შემდეგ ის აღარავის ახსოვს. საოცრად კარგი ბედი დაჰყვა ამ კრებულს. თითქმის ერთი წელი გავიდა მისი გამოცემიდან, მაგრამ ამ კრებულს აქტუალურობა არ დაუკარგავს, პირიქით, მეტი ინტერესია დღეს რილკეს ამ თარგმანის მიმართ“.

მარიამ ნიკაშვილი, პოეტი: „ძალიან კარგი სალამო გაიმართა გოეთეს ინსტიტუტში. პოეტმა და მთარგმნელმა ირმა შიოლაშვილმა და გამომცემლობა „პალიტრა L“ არაჩვეულებრივი კრებული წარადგინეს. რაინერ მარია რილკეს თარგმანები, მართლაც შენაძენია ჩვენი მთარგმნელობითი სფეროსთვის. უდიდესი სიამოვნება იყო ამ პოეზიისა და შესანიშნავი გამომსვლელების მოსმენა. ირმა, სულ ასეთი შემოქმედებითი სიხარული იდგეს შენში!“

ქეთევან შანგალია, პოეტი: „მთარგმნელს და პოეტს ირმა შიოლაშვილს კიდევ ერთხელ ვულოცავ ამ შესანიშნავ განაცხადს ლიტერატურაში. მთარგმნელმა ნაიკითხა თავისი თარგმანები, რომელთაც ახასიათებს ემოციური სისასვე, რილკესეული მაღალი აკორდების სიზუსტით გაჟღერება და



მაღალი დონის ესთეტიზმი. შესავალი წერილი ეკუთვნის გიორგი ლომუაშვილს, რომელმაც ვრცლად ისაუბრა წიგნის შესახებ. იყვნენ სხვა გამომსვლელებიც. არაჩვეულებრივი სალამო შედგა. წიგნი 2023 წელს გამოვიდა და ეს „პალიტრა L“-ის კიდევ ერთი საჩუქარია მკითხველისთვის“.

კრებული „სალამო არის ჩემი წიგნი“ 2023 წელს გამოცდა და ამ თარგმანმა პრემია „მუზა“ მიიღო.

პოეზიის სალამოს ესწრებოდნენ გერმანისტები, პოეტები, მწერლები, მთარგმნელები. გოეთეს ინსტიტუტში გამართული სალამო კიდევ ერთი დასტურია გერმანია-საქართველოს შორის არსებული კულტურული ურთიერთობებისა და მის შემდგომ გაღრმავებას ემსახურება ლიტერატურული შეხვედრების ეს ადგილი.



გამოცდების განრიგი 2024

საგამოცდო პროცესი წელს 3 ივლისს ერთიანი ეროვნული გამოცდებით დაიწყება. პირველ გამოცდას აბიტურიენტები ქართულ ენასა და ლიტერატურაში ჩააბარებენ. 26 ივლისს კი ფიზიკის გამოცდით დასრულდება. საგნისა და სპეციალური მასწავლებლის გამოცდაზე დარეგისტრირებულები პროცესში 5 ივლისიდან ჩაერთვებიან. 5 ივლისს ჩატარდება სტუდენტთა საგრანტო კონკურსიც. მაგისტრანტობის კანდიდატები საერთო სამაგისტრო გამოცდას 17 და 18 ივლისს ჩააბარებენ.

გამოცდების დეტალური განრიგი ასე გამოიყურება:

- პირველი პერიოდი**
- 3 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 4 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 5 ივლისი (პირველი სესია);
- 3 ივლისი (პირველი სესია) - ოსური ენა;
- 4 ივლისი (პირველი სესია) - აფხაზური ენა;
- მეორე პერიოდი**
- 8 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ინგლისური ენა;
- 9 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ინგლისური ენა;
- 10 ივლისი (პირველი სესია) — ინგლისური ენა;
- 10 ივლისი (მეორე სესია) - რუსული ენა;
- 10 ივლისი (მეორე სესია) - გერმანული ენა;
- 10 ივლისი (მეორე სესია) - ფრანგული ენა;
- მესამე პერიოდი (სოფორია)**
- 11 ივლისი (მეორე სესია);
- მეოთხე პერიოდი (საქართველო)**
- 11 ივლისი (მეორე სესია);
- მეხუთხე პერიოდი**
- 12 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- მეექვსე პერიოდი**
- 15 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 16 ივლისი (პირველი სესია);
- 16 ივლისი (მეორე სესია);
- მეშვიდე პერიოდი**
- 16 ივლისი (მეორე სესია);
- მეთვრამეტე პერიოდი**
- 16 ივლისი (მეორე სესია);
- მეცხრამეტე პერიოდი**
- 16 ივლისი (მეორე სესია);
- მეოცე პერიოდი**
- 16 ივლისი (მეორე სესია);
- მეორე პერიოდი**
- 17 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 18 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 19 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 20 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 21 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 22 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 23 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 24 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 25 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 26 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 27 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 28 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 29 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 30 ივლისი (პირველი და მეორე სესია);
- 31 ივლისი (პირველი და მეორე სესია);

- 18 ივლისი (პირველი სესია);
- მეორე პერიოდი**
- 19 ივლისი (მეორე სესია);
- მესამე პერიოდი**
- 23 ივლისი (მეორე სესია);
- მეოთხე პერიოდი**
- 24 ივლისი (პირველი სესია);
- მეხუთხე პერიოდი**
- 25 ივლისი (პირველი სესია);
- მეექვსე პერიოდი**
- 26 ივლისი (პირველი სესია).
- მეშვიდე პერიოდი**
- 5 ივლისი (მეორე სესია);
- მეთვრამეტე პერიოდი**
- 17 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ნაკითხის გააზრება, ანალიტიკური წერა;
- 18 ივლისი (პირველი და მეორე სესია) - ლოგიკური მსჯელობა, რაოდენობრივი მსჯელობა;
- მეცხრამეტე პერიოდი**
- მეოცე პერიოდი**
- 5 ივლისი (მეორე სესია)
- მეთვრამეტე პერიოდი**
- 10 ივლისი (მეორე სესია) - აზერბაიჯანული ენა (დანწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური); - 11 ივლისი (პირველი სესია)
- მეოცე პერიოდი**
- სომხური ენა (დანწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- მეცხრამეტე პერიოდი**
- ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- 15 ივლისი (პირველი სესია) გეოგრაფია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- 15 ივლისი (მეორე სესია) ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);
- 16 ივლისი (პირველი სესია) **მეთვრამეტე პერიოდი (საბაზო ან - და საშუალო საფეხური);**
- 16 ივლისი (მეორე სესია) **მეთვრამეტე პერიოდი (საბაზო ან - და საშუალო საფეხური);**
- 19 ივლისი (პირველი სესია)



იტალიური ენა (დანწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)(წერილი ნაწილი);

ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის) (წერილი ნაწილი);

ფრანგული ენა (დანწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)(წერილი ნაწილი);

გერმანული ენა (დანწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)(წერილი ნაწილი);

რუსული ენა (დანწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)(წერილი ნაწილი);

ინგლისური ენა (დანწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)(წერილი ნაწილი);

სპორტი;

19 ივლისი (მეორე სესია)

მეთვრამეტე პერიოდი

მეთვრამეტე პერიოდი

მეთვრამეტე პერიოდი

21 ივლისი (პირველი და მეორე სესია)

მეთვრამეტე პერიოდი

მეთვრამეტე პერიოდი

22 ივლისი

იტალიური ენა (დანწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური)(საუბრის ნაწილი);

ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისათვის) (საუბრის ნაწილი);

ფრანგული ენა (დანწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) (საუბრის ნაწილი);

გერმანული ენა (დანწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) (საუბრის ნაწილი);

რუსული ენა (დანწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) (საუბრის ნაწილი);

ინგლისური ენა (დანწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) (საუბრის ნაწილი);

23 ივლისი (პირველი სესია)

მეთვრამეტე პერიოდი

მეთვრამეტე პერიოდი

მეთვრამეტე პერიოდი

ქართული ენა და ლიტერატურა (დანწყებითი საფეხური);

ქართული ენა და ლიტერატურა; მათემატიკა და ბუნებისმეტყველება (I — IV);

25 ივლისი (პირველი სესია)

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; ისტორია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური);

26 ივლისი (პირველი სესია)

ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური).

როგორ მივიღოთ კრიტიკა?

დედამიწა რომ შემოიაროთ, ვერ იპოვით ადამიანს, რომელიც იტყვის-მისარი კრიტიკული შენიშვნების მოსმენაო.

კრიტიკა უარყოფითი შეფასებაა. სხვათა უარყოფითი შეფასება კი პირდაპირ თუ ირიბად აისახება ჩვენს თვითშეფასებაზე. დაქვეითებული თვითშეფასება გვაცლის სასიცოცხლო ძალებს და აღარ გვითვალისწინებს ენერჯის, ვაკეთოთ მომავალში დიდი და სასიკეთო საქმეები, ან კიდევ უარესი - გვაბოროტებს.

ცნობილი ავსტრიელი ფსიქოლოგი ალფრედ ადლერი აღნიშნავდა, რომ ადამიანის ერთ-ერთი განსაცვიფრებელი თვისებაა მინუსის პლუსად გადაქცევის უნარი. მაშ, ჩვენ რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ეს უნიკალური თვისება ჩვენივე ბედნიერებისათვის? რატომ არ უნდა შევცვალოთ, რომ კრიტიკიდან მივიღოთ ის დადებითი, რისი ალბაც მაქსიმალურად შესაძლებელია?

როგორ მოვახერხოთ ეს? ვიდრე უშუალოდ ამ საკითხზე ვიტყვით რამეს, აუცილებელია განვსაზღვროთ, რა არის კრიტიკა. შეგახსენებთ, რომ როდესაც ჩვენს პიროვნებას ახასიათებენ უარყოფითად, და არა ჩვენს რომელიმე საქციელს, ეს ლანძღვაა და არა კრიტიკა, იმისათვის, რომ შევძლოთ კრიტიკის სწორად მიღება, საჭიროა, გავარჩიოთ, სად მთავრდება ლანძღვა და

სად იწყება კრიტიკა. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ეტაპია, რადგანაც ლანძღვას არანაირი სიკეთე არ მოაქვს, კრიტიკას კი უდიდესი სარგებლობის მოტანა შეუძლია, თუკი ვისწავლით მის კონსტრუქციულად მიღებას. რასდგანაც კრიტიკა სამუალებას გვაძლევს, დავინახოთ და გამოვასწოროთ ის, რაც ხელს გვიშლის წარმატების მიღწევაში და რასაც მართონი ვერ დავინახავდით.

ადამიანები უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ იმას, ვინ აკრიტიკებს და არა იმას, რამდენად სწორად აკრიტიკებენ. კრიტიკის კონსტრუქციული აღქმა არ უნდა იყოს დამოკიდებული იმაზე, როგორი პიროვნება გვაკრიტიკებს, რა მოტივით და რა ფორმით. მთავარია, კრიტიკა იყოს ობიექტური.

ნებისმიერი კრიტიკა მინიმუმ მოითხოვს გაანალიზებას, სულ ცოტა, იმის დადგენას, რითაა გამოწვეული და მაქსიმუმ იმას, როგორ გამოვასწოროთ სიტუაცია.

1. ნაბიჯი კრიტიკის სწორად აღქმისა არის მისი ფიქსაცია;
2. მისი გააზრება, რათა გამოვიყენოთ ის საქმისათვის;
3. ნაკლის აღმოფხვრა;
4. შექმნათ ისეთი სიტუაცია, რომ არ დაგეშვით მთელი მისი განმეორება.

მაშ ასე, როდესაც ვისმენთ უარყოფით



ფთხ შეფასებას ჩვენი მისამართით

1. უნდა გავარჩიოთ გვაკრიტიკებენ თუ გვლანძღვენ.
2. თუ გვაკრიტიკებენ, არ უნდა შევზოგოთ და შეგველახოს თავმოყვარეობა, რადგანაც არ არსებობს საქმე, რომელიც უკეთ არ გაკეთებდებოდა.
3. არ მიაქციეთ ტყუარად იმას, როგორი პიროვნება გაკრიტიკებთ, რა მიზნით და რა ფორმით.
4. დაფიქრდით, ობიექტურია თუ არა კრიტიკა.

5. მოქმედეთ კრიტიკაში რაციონალური მარცვალი, მაშინაც კი, როდესაც ის ერთი შეხედვით არ ჩანს.

გახსოვდეთ, არ არსებობს კრიტიკა, რომლიდანაც ვერ შეძლებთ, მიიღოთ რამე სასარგებლო, კრიტიკისადმი ყურის დახშობა კი მავნებელია, რადგან ის აგროვებს ავადმყოფობას და აფერხებს ნაკლის გამოსწორებას, კრიტიკა ჩვენი მისამართით, ეს არის მითითება, როგორ სრულყოფთ ჩვენი საქმიანობა.

ბასიკ ბიგოლაშვილი

შენით მიყვარდა „ვორონჯოვი“, ჩალოაშვილი!

ღია ცის ქვეშ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაღში გაიმართა ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, 21-ე საუკუნის პირველი ოცნლეულის პოეტების ხუთთვიური დასახელებული, თბილისისა და სიღნაღის საპატიო მოქალაქის თსუ-ის ოქროს მედლის მფლობელი, დავით აღმაშენებლის, ილია ჭავჭავაძის, ივანე ჯავახიშვილის, ვაჟა-ფშაველას, გალაქტიონ ტაბიძის, ლევან გოთუას სახელობის „საგურამოს“ და „მუზას“ პრემიების მფლობელის - თემურ ჩალაბაშვილის ხსოვნის საღამო.

მისი ლექსი, შუშანიკ დედოფალს რომ მიუძღვნა ოქრომკერდით ამოქარგა მენაქულ სავერდზე და ასლა მეტეხის ტაძარში საქართველოსთვის ნამებული დედოფლის საფლავს ამშვენებს. პოეტის

ლექსზე „ჩემო საქართველო, მართლმადიდებელი!“ შექმნილ ჰიმნს სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, ილია მეორემ „მართლმადიდებლობის სიმღერა“ უწოდა, ხოლო ლექსი „სანთელი“ თავად იქვე რელიგიურ სიმინდედ. თემურ ჩალაბაშვილის ბიოგრაფიასა და შემოქმედებაზე ვრცლად ისაუბრეს დედოფლისწაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მნიგნობართა ასოციაციის თანათავმჯდომარემ, საქართველოს დამსახურებულმა ჟურნალისტმა, ნანა ჭიჭინაძემ და ლიტერატურული ალმანახის „ხორნაბუჯი“ რედაქტორ-გამომცემელმა, დედოფლისწაროს მწერალთა ასოციაციის „ფიროსმანი“ თავმჯდომარემ, გიორგი ნატროშვილმა.

დედოფლისწაროს მწერალთა და მნიგნობართა ასოციაციის წევრმა, სო-

ფელ ქვემო ქედში დაბადებულმა ახალგაზრდა ნიჭიერმა პოეტმა, თსუ-ს მე-4 კურსის წარჩინებულმა სტუდენტმა, მარიამ ტოხიშვილმა წაიკითხა პოეტის უახლოესი მეგობრის, ჯუბა ლებელის ლექსი „ისევ ჩალოაშვილი“.

ცნობილმა პოეტებმა - მზია ხეთაგურმა, მარინა ცხვედიაშვილმა, მირანდა ერისთავმა და სხვებმა, „ჩალოაშვილი“ მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს. თემურის ნიჭის დამფასებლებმა თსუ-დან გადაინაცვლეს მახათას მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში, სადაც პოეტის საფლავი 72 თეთრი ვარდით შეამკეს და 72 სანთელი დაანთეს.

მარინა პოპიაშვილი

გთავაზობთ მარინა ცხვედიაშვილის ლექსს, პოეტის გარდაცვალების შემდეგ რომ დაინერა:

„ბიჭო, ანაგურელო, რაშო ფაფარაშვილი, საქართველოს მოუკვდა თემურ ჩალოაშვილი. როგორ მოგიგურგურთ, გზა რომ გაგიოლო, შეწყვეტილი „ურმული“ დაშრეტილი იორო, ქართულ ლექსის ღაზათო, პოეზიის ბუღბუღო, აბა ვით არ დამზაფროს, ბედმა მჭლეშ და უგულომ, ვიცო, ჰაბლეტს შეგვადები, ფიროსმანის დუქანთან, ამ სურათის შემყურეს, სული გამიგულქვაგდა, რჩეულ კაცთა კრებული, გხვდება ხელეგაშლილი, საქართველოს მოუკვდა, თემურ ჩალოაშვილი...“

სტუმრად კოლეჯში



დედოფლისწაროს მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები, მასწავლებლებთან ერთად გურჯაანში, კოლეჯში „აისი“ ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ. მოსწავლეებმა დაათვალიერეს კოლეჯის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: სახელოსნოები, ლაბორატორიები, თეორიული სწავლების კლას-კაბინეტები და სტუდენტთა საცხოვრებელი. ექსკურსიები პროფესიულ კოლეჯებში ხელს უწყობს სკოლის მოსწავლეთა ინფორმირებას პროფესიული განათლების მნიშვნელობასა და შესაძლებლობებზე, რაც მათ დაეხმარება პროფესიის შერჩევის დროს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში.



ძეგლის დემონტაჟი არხილოსკალოში

სოფელ არხილოსკალოში ვეფხისა და მოყმის ძეგლის დემონტაჟი განხორციელდა. ცნობილია, რომ ამორტიზებული მემორიალი მოსახლეობის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა, რის გამოც ადგილობრივებმა მისი დემონტაჟი გადაწყვიტეს. ძველი ძეგლების უსაფრთხოების საკითხი მას შემდეგ გააქტიურდა, რაც გასული წლის ოქტომბერში, ამ ტერიტორიაზე თამაშის დროს, დედოფლისწაროს სოფელ სამრეკლოში მცხოვრები 3 წლის ბიჭი ტრავიკულად დაიღუპა. სოფელ არხილოსკალოში მერის რწმუნებული იოსებ კობაიძე ამბობს, რომ სოფელმა ძეგლის დაშლის გადაწყვეტილება ერთობლივად მიიღო. „დემონტაჟი ადგილობრივი ძალებით განვახორციელებთ, ბეტონის ნარჩენებს ადგილიდან ეტაპობრივად გავიტანთ. დემონტაჟი იმიტომ მოვახდინეთ, რომ კიდევ რაიმე ტრავედი არ მომხდარიყო. თავდაპირველად, ძეგლი გარედან ფერადი ლითონით იყო დაფარული, ის 90-იან წლებში გაიძარცვა და მონუმენტის წლების განმავლობაში მზე-წვიმაზე დაზიანდა“ - ამბობს რწმუნებული. ნაგებობების უსაფრთხოების ექსპერტები დედოფლისწაროში დატრიალებული ტრავედიის შემდეგ ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა ამორტიზებული ძეგლების მოვლისა და შედამხედველობის რეგულაციები საქართველოში არ არსებობს, ამდენად მათი კონტროლი არავის ევალება. ამის გამო მათი უსაფრთხოების საკითხი შესწავლილი არ არის და ძეგლების შემონახვა არ ხდება.

ნათია გონაძე (ნაგებობების უსაფრთხოების ექსპერტი): „მონუმენტებზე და სხვა მცირე ზომის ნაგებობებზე არ გვაქვს ასეთი მკაცრად განერილი რეგულაცია. კარგი იქნებოდა გვექონოდა მარეგულირებელი სისტემა, თუმცა, ახლა არ გავაჩინა სისტემა, რომელიც ხელისუფლებას დაავალდებულებს მუდმივ ზედამხედველობას მსგავს ნაგებობებზე, რათა, თავიდან იქნას აცილებული უბედური შემთხვევები. ის, რომ კანონმა დაავალდებულოს მუნიციპალიტეტის ხელისუფლებამ, გამოყონ ჯგუფები და ასეთი ძეგლები შეამონონ, ამჟამად არ მოქმედებს.“ შემთხვევა სოფელ არხილოსკალოში, 2023 წლის 29 ოქტომბერს „ვეფხისა და მოყმის“ მემორიალთან მოხდა. ქანდაკების პიედესტალის ნაწილი, მოულოდნელად ჩამოვარდა და იქ მყოფ მცირეწლოვან ბავშვს დაეცა. ადგილობრივების ინფორმაციით, ბავშვი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. მცირეწლოვანი ბიჭი სოფელ სამრეკლოში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახის ყველაზე პატარა წევრი იყო.

ილია მარტყოფლიშვილი



მანამდე

შემდეგ

საპაპავო ბაღის აღსაზრდელები სტუმრად მიხანძრე-მაშველებთან

ქალაქ დედოფლისწყაროს №4 საპაპავო ბაღის აღსაზრდელები დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურს ესტუმრნენ და მათი მუშაობითა და საცხოვრებელი პირობებით დაინტერესდნენ. როგორც საპაპავო ბაღის მენეჯერმა ასმათ ლომიძემ გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, აქტივობა განხორციელდა პროექტის „მეხანძრე-მამშველის“ ფარგლებში.

ასმათ ლომიძე (დედოფლისწყაროს №4 ბაგა-ბაღის მენეჯერი): „ახალი სტანდარტების მიხედვით, ბაღებს დავეალათ ამგვარი პროექტების შემუშავება, ამდენად, ეს ჩვენი ერთ-ერთი პროექტი იყო. როდესაც პროფესიებს განიხილავდნენ, ინტერესი სწორედ მათგან წამოვიდა. მოგესხენებათ, მათ ასაკში მეხანძრე-მამშველი ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პროფესიაა. სურვილი გაუჩნდათ, რომ მათი ცხოვრება ადგილზე ენახათ. აინტერესებდათ, ნამდვილი მეხანძრეები დახვდებოდნენ თუ არა ადგილზე. უსაზღვროდ ბედნიერები იყვნენ, როცა ამ ყველაფრის ნახვის შესაძლებლობა მიეცათ. ნახაბა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. საუკეთესო დახვედრა მოგვიყვებს, რისთვისაც დიდი მადლობა გვინდა ვუთხრათ სახანძრო-სამაშველო სამსახურს მხარდაჭერისთვის, მათი თანხმობის გარეშე ამ პროექტს ვერ განვახორციელებდით. რეგიონული ცენტრიდან სტუმარიც ჰყავდათ მონვეული, რომელმაც ბავშვებს ყველაფერი დეტალურად გააცნო. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ალბათ

მთელი ცხოვრება არ დაავიწყდებოდათ ეს შთაბეჭდილებები. ცხადია, ჩვენი მომავალი აქტივობებიც მათ ინტერესებზე მაქსიმალურად მორგებული იქნება. არდადეგების დანყებამდე სულ მცირე ერთი პროექტი კიდევ იქნება. სურვილი აქვთ სკოლას ესტუმრონ, რადგან დამამთავრებელი ჯგუფია, წინასწარ ნახონ სასკოლო გარემო. ზოგადად, რაც მეტი გავსვლით პროექტი განხორციელდება, მით უკეთესია ბავშვების ცნობიერების ამაღლებისთვის“.

მარიამ ცისპარაული (სამხრ-დელი): „ერთი თვეა ამ პროექტზე ვმუ-



შაობთ, ბაღშიც გვქონდა სხვადასხვა თამაშები და აქტივობები. თავდაპირველად, თემა გვქონდა პროფესიების შესახებ, ბავშვებმა ნახეს ნივთი, სადაც დეტალურადაა მეხანძრე-მამშველებზე საუბარი. აქედან წამოვიდა მათი დაინტერესება. უამრავ კითხვას სვამდნენ, რა

ხელსაწყოებს იყენებდნენ მუშაობის პროცესში, როგორ ცხოვრობდნენ, რა ეცვათ. ამიტომაც, მათი ინტერესის დასაკმაყოფილებლად დავგეგმეთ მათთან სტუმრობა. ოფიციალური წერილის გაგზავნა გახდა საჭირო და ამან დროში გააჩიანურა ვიზიტი, თუმცა საბოლოოდ მაინც მოხერხდა და საოცარი დახვედრა იყო. ადგილზე უფრო მეტად დაინტერესდნენ ბავშვები და ყველაფერს ინტერესით ათვალთვლებდნენ. განსაკუთრებით დაინტერესდნენ სახანძრო ავტომანქანებმა. დიდი ყურადღება მიიქცია მიღმა,

რომლითაც მამშველები კიბის ნაცვლად დაბლა ჩამოდიან. მათი თანამშრომლები ყველაფერს განმარტავდნენ და მათ ყველა კითხვაზე პასუხობდნენ. ზედ დაგვირიალებდნენ. ბავშვები მანქანებში ჩასვეს, უანგზადის ავზები აჩვენეს. ფორმა დიდი ზომების გამო ვერ მოარგეს, მაგრამ თავად რომ ეცვათ ბავშვებს ესეც უხაროდათ. საბოლოო ჯამში მათი ყველა ინტერესი დაკმაყოფილდა და ბედნიერები დაგვბრუნდით. უფროსებისთვისაც ძალიან საინტერესო დღე იყო. ეს სასკოლო მზაობის ჯგუფია, რომელშიც 13 ბავშვია და მათგან 9 წელს ამთავრებს ბაღს და სკოლაში მიდის, ამიტომ ისინი იყვნენ ჩართულნი ამ საინტერესო პროექტში“.

ილია მარტყოფლიშვილი

რესპუბლიკური ტურნირი სწრაფ ჭადრაკში

31 მაისს და 1 ივნისს ქ. თელავში ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი სწრაფ ჭადრაკში (25 წუთი +10 წამი თვითოეულ სვლაზე) (ჭადრაკის მოყვარულთა საყურადღებო: როდესაც ერთი მოჭადრაკის ძირითადი მოსაფიქრებელი დრო და დამამატებითი დროის ჯამი აღემატება 10 წუთს და არაუმეტეს 60 წუთისა – ასეთი ჭადრაკი ინოდება სწრაფ ჭადრაკად, ხოლო 10 წუთზე ნაკლები დროის შემთხვევაში – არის ბლიც-ჭადრაკი).

ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ: ქ. თელავის სპორტულ კლუბთა გაერთიანება და ჭადრაკის კახეთის ფედერაცია. მთავარი მსაჯი - კახეთის ჭადრაკის ფედერაციის გენ. მდივანი-გიორგი კვიციანი.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი ორი მოჭადრაკით იყო წარმოდგენილი. 12 წლამდე ასაკის გოგონათა ჯგუფში **სალომე კვინინაშვილი** ვერცხლის პრიზიორი გახდა. ამ ჯგუფში პირველ

ადგილზე გასულმა თანაბარქულიანმა მოჭადრაკემ (მარიამ დათუაშვილი) მხოლოდ უკეთესი კოეფიციენტის მაჩვენებლით სძლია სალომეს. 10 წლამდე ასაკის ვაჟების ჯგუფში 34 მოჭადრაკით იყო წარმოდგენილი და ტურნირის ყველაზე დაძაბული შერკინებაც არ მიმდინარეობდა.

დედოფლისწყაროს წარმომადგენელმა – **მათი მარტყოფლიშვილი** ღირსეულად იბრძოლა, ტურნირში პირველ ადგილზე გასულ საქართველოს ჩემპიონთან (ალექსანდრე ბერიშვილი) ფრედ ითამაშა, 7-დან 5 პარტია მოიგო, მაგრამ, მხოლოდ ბრინჯაოს მედალს დასაჯდნენ. მეორე ადგილი უკრაინის ასაკობრივმა ჩემპიონმა-აბალმაზ პავლომ დაიკავა...

ზოგადად, ტურნირი კარგად იყო ორგანიზებული, მოჭადრაკეებს შექმნილი ჰქონდათ ყოველგვარი პირობა შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოსავლენად.



ულოცავენ! უბი ზურაშვილს!



ჩვენი ძვირფასო, საყვარელო და განუყოფელი ადამიანი, თბილო, ტკბილო, სიკეთით სავსე და მხნეობის ეტალონი, შენ ხარ ჩვენი მხარდობი, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანი. მთელი ცხოვრება უნებაროდ გვემსახურე ყველას და ახლაც კი, როდესაც ბუნებამ, სრულად უსამართლოდ, სანოლს მიგაჯაჭვა, სიხარულითა და სიყვარულით გვავესებ, იცოცხლე დიდხანს ჩვენს საივლით. 13 ივნისს შენი დღეა, დაბადების 84 წლისთავს გილოცავთ! უფალი გფარავდეს!

სიყვარულით და პატივისცემით, და ლუიზა ზურაშვილი, დისშვილები: თამაზი, ზურა, ნელი ქენძაძე ოჯახებით, დისშვილები: ვასიკო ჯაგორიანი, ირაკლი და სანდრო ქენძაძეები, ნია, მარი, პარპარა ტუსაშვილები ოჯახებით, სიძეები: გიორგი ნუჭუა, ცუცნა ტუსაშვილი, გიორგი მარტყოფლიშვილი, მეგობრები, სათნოების სახლი „სავანეს“ ბენეფიციარები, ველოშვილის ქუჩის მეზობლები.

ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა ბექაური ევროპის ოლიმპიურმა კომიტეტებმა ევროპული თამაშების საუკეთესო სპორტსმენად დაასახელა. რუმინეთის დედაქალაქ ბუქარესტში მიმდინარეობს ევროპის ოლიმპიური კომიტეტი



ლაშა ბექაური დააჯილდოვეს!

ტების 53-ე გენერალური ასამბლეა, რომლის ფარგლებშიც გაიმართა დაჯილდოების ცერემონია. წელს პირველად დაწესდა ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ყოფილი პრეზიდენტის, გამორჩეული სპორტის მოღვაწის იანე კოჩიანჩიჩის სახელობის სპეციალური ჯილდო.

2023 წლის მესამე ევროპული თამაშების საუკეთესო მამაკაც სპორტსმენად დაასახელდა და იანე კოჩიანჩიჩის სახელობის სპეციალური ჯილდო გადაეცა ოლიმპიურ ჩემპიონს, ევროპის ჩემპიონს და მესამე ევროპული თამაშების გუნდურ ჩემპიონს, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულს, ძიუდოსტ ლაშა ბექაურს. აღნიშნული ჯილდო ოლიმპიურ ჩემპიონს გადასცეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა თომას ბახმა და ევროპის ოლიმპიური კომიტეტი

ბის პრეზიდენტმა სპიროს კაპრალოსმა. ევროპული თამაშები, რომელიც კონტინენტის უმთავრესი სპორტული ღონისძიებაა და ევროპის ოლიმპიური კომიტეტების ეგიდით ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება, სპორტის სხვადასხვა სახეობაში მონაწილეობას იღებს 7000-მდე სპორტსმენი.

დაჯილდოების ცერემონიას ესწრებოდნენ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი თომას ბახი, ევროპის ოლიმპიური კომიტეტების პრეზიდენტი სპიროს კაპრალოსი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ლერი საბელიოვი და ევროპის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ხელმძღვანელი პირები.

საამაყოა, რომ ევროპის ოლიმპიური კომიტეტების მიერ დაწესებული საპატიო ჯილდო პირველად ჩვენმა საამაყო ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა ბექაურმა დაიმსახურა.

ამინდი		დედოფლისწყარო		ლაშა		პარაქავე		შაბათი		კვირა	
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარაქავე	შაბათი	კვირა	ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარაქავე
10.06	11.06	12.06	13.06	14.06	15.06	16.06	10.06	11.06	12.06	13.06	14.06
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე
☀️	☁️	☀️	☁️	☀️	☁️	☀️	☀️	☁️	☀️	☁️	☀️
26°	16°	26°	17°	27°	17°	28°	27°	17°	29°	18°	30°

გამომცემელი შპს „შირაქსი“
 დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
 რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტიკა); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა გოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიანი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენძაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქსი“ კომპიუტერულ ბაზაზე. ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შპს „გამომცემლობა სამშოლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამომწერა წელიწადში - 20 ლარი